

## ბანკარტუპითი ბარათი

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №35 დადგენილების ზოგიერთი საკითხის პრაქტიკაში დანერგვის შესახებ

### შესავალი

2017 წლის 26 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება(№35) „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის №68 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

სქემის ახალი რედაქციის საფუძველზე, მასწავლებელს ფართო შესაძლებლობა მიეცა მის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მრავალფეროვანი დამატებითი საქმიანობების განხორციელების შედეგად(შიდა შეფასების მეშვეობით) დააგროვოს და შეივსოს მისთვის საჭირო სტატუსის შენარჩუნებისათვის/მინიჭებისათვის აუცილებელი დამატებითი კრედიტქულები(რაც განსაკუთრებული და სასარგებლო სიახლეა სქემის ახალ რედაქციაში!); ცხადია, მასწავლებლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი დამატებითი აქტივობანი, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას!

საერთაშორისო ასოციაცია „ბალავარმა”, საქართველოს მთავრობის №35 დადგენილებაზე დაყრდნობით, მიიღო გადაწყვეტილება გარკვეული დახმარება გაუწიოს მათემატიკის მასწავლებლებს კრედიტქულების დაგროვებაში, მოსწავლეებს კი – დამატებითი ცოდნის მიღებაში, კერძოდ, პედაგოგებს შევთავაზეთ ასოციაციის ახალ პროექტში - „**მათემატიკა-ყველასათვის!**”- მონაწილეობა;

მოგეხსენებათ, მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილება, ჯერჯერობით, პრაქტიკაში არ არის დამკვიდრებული; ამიტომ, ბუნებრივია, ვიდრე „მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები” დამტკიცდებოდა, სკოლების ადმინისტრაციის წევრებსა და პედაგოგებს მრავალი კითხვა გაუჩნდათ; მათი ინტერესებიდან გამომდინარე, სქემის ზოგიერთი საკითხის იურიდიული განმარტებისათვის კითხვით მივმართე ასოციაცია „ახალგაზრდა ადვოკატებს”. მათი პასუხი (სრული სახით) თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს, აქ კი წარმოგიდგენთ მოკლე ამონარიდს დასკვნიდან:

**პიტივკა:** აქვს თუ არა მასწავლებელს უფლება, სკოლაში მის მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი დამატებითი აქტივობების/საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში, შიდა შეფასების საფუძველზე, მოითხოვოს დამატებითი კრედიტქულების მინიჭება?

**დამატებითი აქტივობების/საქმიანობების ჩამონათვალი:** კონკურსებისათვის, ოლიმპიადებისათვის, შეჯიბრებებისათვის(მათ შორის სპორტული და სახელოვნებო) მოსწავლის/მოსწავლეების მომზადება; სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობის წარმართვა; სასწავლო რესურსების შექმნა; სასწავლო პროექტები; დისტანციური სწავლება; წლის განმავლობაში საკლუბო მუშაობის წარმართვა; საზაფხულო სკოლის მოწყობა; თავისუფალი გაკვეთილები; სამოდელი გაკვეთილების ჩატარება; კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა და/ან მათი ორგანიზება.

**პასუხი**(ამონარიდი): სქემის ახალი რედაქციის თანახმად, სახელმწიფო(სკოლა) ვალდებულია სქემის №2 და №3 ცხრილებში მოცემული აქტივობების/საქმიანობების(ჩამონათვალი იხილეთ ზემოთ) განხორციელებისათვის მასწავლებელს შიდა შეფასების საფუძველზე მინიჭდეს კრედიტქულები.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №35 დადგენილების თანახმად, მასწავლებლის მიერ განხორციელებული(ამ დოკუმენტის ჩამონათვალში მოცემული) აქტივობების/საქმიანობების შეფასება მოხდება შიდა შეფასების საფუძველზე. კერძოდ: მასწავლებლის შეფასე-

ბის ჯგუფი მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში არსებული დოკუმენტების საფუძველზე, მიიღებს გადაწყვეტილებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წინადადების წარდგენის შესახებ მასწავლებლისათვის სტატუსის შენარჩუნებისა თუ სტატუსის მინიჭების თაობაზე.

### **განმარტებები**

იმის შესახებ, როგორ უნდა დააგროვოს ასოციაცია „ბალავარის“ პროექტში - „**მათემატიკა-ყველასათვის**“- ჩართულმა მასწავლებელმა დამატებითი კრედიტქულები.

**ცნობა:** პროექტი „**მათემატიკა – ყველასათვის!**“ ორ საერთაშორისო ქვეპროექტს მოიცავს: მსოფლიო მათემატიკურ კონკურს „**კენგურუს**“ და ევროკავშირის კონკურს **Le-Math**-ს, რომელიც, თავის მხრივ, 4 საერთაშორისო მათემატიკურ პროექტს („**მათემატიკურ თეატრს**“, „**მათემატიკურ ფაქტორს**“, „**მათემატიკურ პოსტერს**“ და „**მათემატიკურ კონფერენციას**“) ითვალისწინებს.

**ცხრილი A:** პრაქტიკოსი მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაში მას დაეხმარება პროექტი „**მათემატიკა – ყველასათვის**“

<b>ცხრილი A</b>			
<b>მიმართულება</b>	<b>აქტივობის/საქმიანობის დასახელება</b>	<b>კრედიტქულები</b>	<b>რომელ ქვეპროექტში</b>
<b>სასწავლო პროცესის გაუმჯობესება</b>	კონკურსებისათვის, ოლიმპიადებისათვის, შეჯიბრებებისათვის(მათ შორის, სპორტული და სახელოვნებო) მოსწავლის/მასწავლებლის მომზადება.	0,5	„კენგურუ“/ Le-Math
<b>კლასგარეშე საქმიანობანი</b>	სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობის წარმართვა	0,5	„კენგურუ“/ Le-Math
	წლის განმავლობაში საკლუბო მუშაობის წარმართვა	1	„კენგურუ“/ Le-Math
<b>პროფესიული თანამშრომლობა</b>	კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა	0,5	Le-Math

**A** ცხრილში მოცემული აქტივობების/საქმიანობების შესაბამისი კრედიტქულები აღებულია სქემის ახალი რედაქციის №2 ცხრილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ: პრაქტიკოს მასწავლებელს საგნობრივი და პროფესიული მიმართულებით განხორციელებული დამატებითი აქტივობებიდან/საქმიანობებიდან წლის განმავლობაში მაქსიმუმ 5 კრედიტქულა მიენიჭება; კრედიტქულების მისანიჭებლად მასწავლებლის შეფასების ჯგუფი ეფუძნება შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტს.

რაც შეეხება, უფროსი და წამყვანი მასწავლებლის დამატებითი საქმიანობების/აქტივობების სრულ ჩამონათვალს, სქემის ახალ რედაქციაში ისინი წარმოდგენილია №3 ცხრილში, სადაც ვკითხულობთ: უფროსი და წამყვანი მასწავლებელი დამატებით კრედიტქულებს აგროვებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მრავალფეროვანი აქტივობებით, რომლებიც გამომდინარეობს როგორც მოსწავლეთა, ასევე საკუთარი, კოლეგების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებებიდან.

**ცხრილი B:** უფროსი და წამყვანი მასწავლებლების დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაში მათ დაეხმარება პროექტი „**მათემატიკა – ყველასათვის!**“.

ცხრილი B	მიმართულება	აქტივობის/საქმიანობის დასახელება	კრედიტ-ქულები	რომელ ქვეპროექტში
სასწავლო პროცესის გაუმჯობესება		კონკურსებისათვის, ოლიმპიადებისათვის, შეჯიბრებებისათვის(მათ შორის, სპორტული და სახელოვნებო) მოსწავლის/მასწავლებლის მომზადება.	0,5	„კენგურუ“/ Le-Math
		სასწავლო პროექტები	0,5	„კენგურუ“/ Le-Math
		დისტანციური სწავლება	0,5	„კენგურუ“/ ზაფხულის სკოლა
კლასგარეშე საქმიანობანი		სემესტრის განმავლობაში საწრეო მუშაობის წარმართვა	0,5	„კენგურუ“/ Le-Math
		წლის განმავლობაში საკლუბო მუშაობის წარმართვა	1	„კენგურუ“/ Le-Math
		საზაფხულო სკოლის მოწყობა	1	„კენგურუ“/ Le-Math
		თავისუფალი გაკვეთილები	0,5	Le-Math (მათ.თეატრი,მათ.ფაქტორი)
პროფესიული განვითარება		სასწავლო რესურსის შექმნა	1	Le-Math (მათ.პოსტერი,სცენარი,მათ.თეატრისთვის)
პროფესიული თანამშრომლობა		სამოდერლო გაკვეთილის ჩატარება	1	Le-Math
		კოლეგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და მათში მონაწილეობა	0,5-1	Le-Math

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **B** ცხრილში მოცემული აქტივობების/საქმიანობების შესაბამისი კრედიტ-ქულები აღებულია სქემის ახალი რედაქციის №3 ცხრილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ მასწავლებლის შეფასების ჯგუფი ეფუძნება შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტს.

რამდენიმე დღის წინ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა დაამტკიცა და გამოაქვეყნა *მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტები*(დამატებითი აქტივობების შეფასების კრიტერიუმები), სადაც დეტალურადაა გაწერილი, თუ რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს პედაგოგმა, რათა დამატებითი საქმიანობების განხორციელების საფუძველზე მიიღოს კრედიტ-ქულები.

აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, შემოგთავაზებთ დამატებითი აქტივობის - „*კონკურსებისათვის, ოლიმპიადებისათვის, შეჯიბრებებისათვის(მათ შორის, სპორტული და სახელოვნებო) მოსწავლის/მასწავლებლის მომზადება*“ - ორგანიზებისათვის აუცილებელ რეკომენდაციებს საერთაშორისო პროექტში „**მათემატიკა – ყველასათვის!**“ მონაწილეობის მისაღებად. თვალსაჩინოებისათვის რეკომენდაციებს კითხვა-პასუხის სახეს მივცემთ.

**კითხვა – პასუხი №1**

№	რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა საერთაშორისო პროექტში მონაწილეობის მისაღებად?
1	შეავსოს ასოციაცია „ბალავარის“ მიერ შეთავაზებული <b>სარეგისტრაციო ფორმა</b> და გამოაგზავნოს ელ-ფოსტით მისამართზე: le-math@mail.ru
2	შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმაში მის მიერ საერთაშორისო პროექტში ჩართულობის თაობაზე.
3	<p>მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში განათავსოს მის მიერ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში განხორციელებული დამატებითი საქმიანობების დამადასტურებელი დოკუმენტები(დამატებითი საქმიანობები შეიჩევა წინამდებარე განმარტებითი ბარათის A და B ცხრილებიდან):</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- <b>ქვეპროექტის დასახელება</b>(„კენგურუ“, ან/და Le-Math);</li> <li>- <b>მოსამზადებელი ჯგუფის/ჯგუფების სასწავლო პროგრამები</b> კონკურს „კენგურუს“, ან/და Le-Math-ისათვის; გარდა ამისა, Matheatre-სა და MathFactor-ისათვის - ვიდეო ჩანაწერები და სცენარები; კონკურს MathPoster-ისათვის – მათემატიკური აფიშის კომპიუტერული ვერსია; MathPresentation-ისთვის საკონფერენციო თემის კომპიუტერული ვერსია.</li> <li>- <b>კონკურსში/კონკურსებში მონაწილე მოსწავლეთა სია</b>(კლასების მიხედვით);</li> <li>- <b>კონკურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთები</b>(თუ კონკურს „კენგურუსში“ სურთ მონაწილეობა, მაშინ მასწავლებელმა ამ ეტაპზე საქალაქში უნდა განათავსოს მოსწავლეთა მონაწილეობის დამადასტურებელი საბანკო ამონაწერის ასლები, სასწავლო წლის ბოლოს კი, მონაწილის სერტიფიკატი ან დიპლომი; თუ მოსწავლე Le-Math-ის ერთ ან რამდენიმე კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, მაშინ კონკურსში/კონკურსებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, დიპლომი ან სიგელი);</li> <li>- <b>ჩატარებული საათების რაოდენობა;</b></li> <li>- <b>მასწავლებლის რეფლექსია;</b></li> </ul> <p><u>სასურველია</u>, მოსწავლეებისა და მშობლების კომენტარებიც, მაგალითად: რა სარგებელი მოუტანა პროექტმა სკოლას/მოსწავლეებს, რა გავლენა იქონია მოსწავლეთა ცოდნის დონის გაუმჯობესებაზე და სხვ.);          წესისამებრ, მე-3 პუნქტში მითითებული დოკუმენტები მასწავლებელმა უნდა განათავსოს ელექტრონულ სისტემაში.</p>

**კითხვა – პასუხი №2**

რეკომენდაციები საერთაშორისო კონკურსებისათვის მომზადების ჯგუფების ორგანიზებისათვის		
	კითხვა	პასუხი
1	როდის შეიძლება პროექტში ჩართვა?	დღესვე
2	რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა პროექტში მონაწილეობის მისაღებად?	იხილეთ კითხვა-პასუხი(№1);
3	რომელ მასწავლებელს შეუძლია პროექტში მონაწილეობა?	ქვეპროექტში „კენგურუ“- მათემატიკის ნებისმიერ მასწავლებელს; ქვეპროექტში - Le-Math – მათემატიკის მასწავლებლებს, ფილოლოგებს, ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლებს;
4	რამდენ ხანს გაგრძელდება პროექტი?	უვადოდ(ზემოდასახელებული საერთაშორისო კონკურსებისათვის მზადება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მთელს სასწავლო წელს მიმდინარეობს)
5	სად შეიძლება კონკურს „კენგურუს“ მასალების(გასული წლების ტესტების) მოძიება?	ასოციაცია „ბალავარის“ ვებ გვერდზე: <a href="http://www.balavarigeorgia.ge">www.balavarigeorgia.ge</a>

**პითხვა – პასუხი №2(გაგრძელება)**

რეკომენდაციები საერთაშორისო კონკურსებისათვის მომზადების ჯგუფების ორგანიზებისათვის		
	პითხვა	პასუხი
6	როგორ უნდა მოხდეს მოსწავლეთა კლასებად დაყოფა?	ცხადია, ჩვეულებისამებრ: მე-2-დან მე-12 კლასების მოსწავლეებით უნდა დაკომპლექტდეს ცალ-ცალკე ჯგუფები, მაგრამ დასაშვებია, კლასების გაერთიანებაც, მაგალითად: მე-3-4, მე-5-6, მე-7-8 და ა.შ. <b>შენიშვნა:</b> კოლეგებთან შეთანხმებით, შესაძლებელია, მასწავლებელმა სხვა კლასების მოსწავლეებიც ამეცადინოს, ანუ მათ(მასწავლებლებ-ლებმა) გადაინაწილონ კლასების კატეგორიები.
7	რამდენი მოსწავლე უნდა იყოს ჯგუფში?	მასწავლებლის გადასაწყვეტია
8	კონკურს „კენგურუს“ მოსამზადებელ ჯგუფებში?	აბსოლუტურად ყველა მოსწავლე, ვინც უკვე დარეგისტრირებულია საერთაშორისო კონკურსში. მოგეხსენებათ, „კენგურუს“ დევიზია: „მათემატიკა – ყველასათვის!“, ამიტომ, სასურველია, წახალისოთ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებიც შეუერთდნენ მსოფლიო მათემატიკურ მოძრაობას, რამეთუ „კენგურუს“ ამოცანების უმრავლესობა ლოგიკური ტიპისაა, მათი ამოხსნისათვის საკმარისია სხარტი და ნათელი გონება;
	Le-Math კონკურსების მოსამზადებელ ჯგუფებში?	ყველა ქვეყანაში Le-Math – ის კონკურსებში მონაწილეობენ არა მხოლოდ მათემატიკის ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები, ამ ღონისძიებებით ეფექტურად ხორციელდება მათემატიკის პოპულარიზაცია იმ მოსწავლეებს შორისაც, რომელთაც არა აქვთ განსაკუთრებული მიდრეკილება და მიღწევები ამ საგანში; Le-Math – ის კონკურსებში მონაწილეობა უცილობლად იწვევს ჰუმანიტარული მიდრეკილებების მქონე(მხატვრობის, სამსახიობო და სცენარების წერის ნიჭით დაჯილდოებული) მოზარდების აქტიურ დაინტერესებას მათემატიკით;
9	ვინ ადგენს „კენგურუს“ მოსამზადებელი ჯგუფების სასწავლო პროგრამას?	საერთაშორისო პროექტში მონაწილე მასწავლებელი ასოციაცია „ბალავარის“ მიერ მიწოდებული მასალებითა და რეკომენდაციებით; ამასთანავე, პროექტში მონაწილე მასწავლებელს ასოციაცია „ბალავარი“ კონსულტირებას გაუწევს შეფასების სქემის მიხედვით აქტივობის წარმართვაში.
10	ერთდროულად რამდენი აქტივობის განხორციელება შეუძლია პროექტში ჩართულ მასწავლებელს?	რამდენიც სურს, შეუძლია სხვადასხვა კლასში სხვადასხვა საქმიანობა განხორციელოს.

**ბვირფასო კოლეგებო,** თუ თქვენ მიიღებთ საერთაშორისო პროექტში-„**მათემატიკა-ყველასათვის!**“- მონაწილეობის გადაწყვეტილებას, **მაშინ დროულად უნდა მოიძიოთ ის მოსწავლეები, რომლებიც უკვე დარეგისტრირდნენ კონკურს „კენგურუსზე“, რათა უპრიანად გამოიყენოთ არდადეგები.**

**ბვირფასო კოლეგებო,** თუ თქვენ გაგიჩნდებათ დამატებითი კითხვები, შეგიძლიათ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [le-math@mail.ru](mailto:le-math@mail.ru)

რეკომენდაციებს დანარჩენი აქტივობების განხორციელების შესახებ, მოგვიანებით მოგაწვდით. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ: 1. აპრილ-მაისში, დისტანციური ფორმით, ჩატარდება ტრენინგები ევროკავშირის კონკურს Le-Math-ის(ორი ახალი ევროპული მიდგომა(მეთოდოლოგია) -„**მათემატიკის**

სწავლება ახალი საკომუნიკაციო მეთოდების(მათემატიკისა და მათფაქტორის) გამოყენებით”) მეთოდოლოგიაში მასწავლებელთა დასახელოვნებლად;

2. საერთაშორისო პროექტის -„მათემატიკა–ყველასათვის!”- განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების წევრები – ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მათემატიკოსები

06.03 2017

პატივისცემით, ლალი ბერძენიშვილი-

საერთაშორისო საგანმანათლებლო ასოციაცია „ბალავარის” პრეზიდენტი (თბილისი, საქართველო)

საერთაშორისო ორგანიზაცია International Educational Movement(Paris, France) პრეზიდენტი

განათლების საერთაშორისო ექსპერტი.

[www.balavarigeorgia.ge](http://www.balavarigeorgia.ge) [kangourou2017@mail.ru](mailto:kangourou2017@mail.ru) [le-math@mail.ru](mailto:le-math@mail.ru)

T.: 574 106233 // 577 54 73 55